ტენდერი ბეკაპირების სერვისის მომსახურების შესყიდვაზე

ტენდერის ამოცანა: შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად ა(ა)იპ სავალდებულო დაზღვევის ცენტრის არსებული რეზერვირების სქემის შესაბამისად უნდა განხორციელდეს მონაცემთა ბეკაპირების მომსახურება, 2026 წლის 01 მაისიდან 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

ა(ა)იპ სავალდებულო დაზღვევის ცენტრის მონაცემთა ბეკაპირების სერვისის ტექნიკური მოთხოვნები:

მონაცემთა ბეკაპირების სერვისის მომსახურება უნდა განხორციელდეს 2026 წლის 01 მაისიდან 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით და მოიცავს:

სერვისის აღწერილობა:
სერვისის მიმწოდებელი კომპანიის მიერ ცენტრში არსებული რეზერვირების სქემის შესაბამისად უნდა განხორციელდეს მონაცემთა ბეკაპირება.

ბეკაპირებისათვის გამოყენებული ელექტრონული სისტემა შეიძლება იყოს Veem ან Symantec backup exec. ელექტრონული სისტემა უნდა უზრუნველყოს და გამართოს სერვისის მომწოდებელმა კომპანიამ. ცენტრის ელექტრონული სისტემების მონაცემთა ბეკაპირება უნდა განხორციელდეს შემოთავაზებული სერვისის სახით, რაც თავის მხრივ გულისხმობს სერვისის მიმწოდებლის მიერ ცენტრის ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაში ბეკაპირებისათვის გამოყენებული ელექტრონული სისტემის ვირტუალური სერვერის გამართვას (რომელიც იქნება სერვისის მიმწოდებლის საკუთრება) და მისი საშუალებით უნდა უზრუნველყოფილი იყოს ცენტრის ყველა ელექტრონული სისტემების სარეზერვო ასლების აღების პროცესის მართვა. სარეზერვო ასლების შენახვა უნდა განხორციელდეს ცენტრის მიერ გამოყოფილ სარეზერვო ასლების საცავ მოწყობილობაზე. რეზერვირების სქემა წინასწარ უნდა შეთანხმდეს ცენტრის წარმომადგენლებთან.

დამატებითი მოთხოვნები სერვისის მომწოდებლისათვის:

- აუცილებელია სერვისის მომწოდებელ კომპანიას ჰქონდეს ინციდენტების აღრიცხვის თავისი პროგრამული უზრუნველყოფა, სადაც მაქსიმალურად ავტომატურად უნდა ფიქსირდებოდეს ნებისმიერი ტიპის ტექნიკური, თუ პროგრამული ინციდენტები. ასევე ამ სისტემაში უნდა იყოს შესაძლებელი, სერვისის მომწოდებელი ოპერატორის მიერ ინციდენტების ხელით დაფიქსირება. ამ სისტემაში უნდა იყოს ჩვენი ცენტრის ინფრასტრუქტურის დამატების შესაძლებლობა, ისე რომ ცენტრის შესაბამის თანამშრომლებს ჰქონდეთ წვდომა ინციდენტების მართვის პროგრამაში მხოლოდ ცენტრის ინციდენტების ნახვის და დამატების უფლებით.
- კომპანიას უნდა ჰქონდეს ე.წ. ცხელი სატელეფონო ხაზი, რომელიც იმუშავებს 24/7 რეჟიმში მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად და რომელსაც უნდა ჰქონდეს ინციდენტების დაფიქსირების შესაძლებლობა ჩვენი თანამშრომლების მიერ სატელეფონო ზარების ან ელ-ფოსტის შეტყობინებების მიღების საფუძველზე.
- ხელშეკრულების დადებამდე 1 კვირის განმავლობაში სერვისის მიმწოდებელმა კომპანიამ უნდა განახორციელოს არსებული ინფრასტრუქტურის რეზერვირების სქემის შესწავლა. განახორციელოს შესაბამისი სერვისების გააქტიურება და დანერგვა და საჭიროების შემთხვევაში შემოგვთავაზოს შესაბამისი ცვლილებები უფასოდ;

- არსებული რეზერვირების სქემიდან ახალ (სერვისის მომწოდებლის მირე შემოთავაზებულ) სერვისებზე გადასვლა უნდა განხორციელდეს შეფერხების გარეშე ან წინასწარ შეთანხმებული მცირედი შეფერხებით.
- ტენდერში მონაწილოების მიღებამდე მოთხოვნების შესახებ საჭირო ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია ცენტრის აიტი სამსახურის უფროსთან წინასწარი შეხვედრა ან დისტანციური გასაუბრება.
- სერვისის მიმწოდებელ კომპანიას აუცილებელია ჰქონდეს ანალოგიური (ბეკაპირების) სერვისის მიწოდების გამოცდილება არა ნაკლებ 3 წელი.
- სერვისის მიმწოდებელ კომპანიას სისტემების და მონაცემთა ბაზების რეზერვირების მართვის მიმართულებაში უნდა ჰყავდეს ჩართული არანაკლებ 2 სისტემური ადმინისტრატორი ან რეზერვირების მართვის ადმინისტრატორი
- ჩვენს კომპანიაზე რეზერვირების მართვის მიმართულებით გამოყოფილი სპეციალისტებს (ერთს მაინც) უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის დამდასტურებელი შემდეგი მინიმალური სერთიფიკატები:
    - სისტემური ადმინისტრატორი ან რეზერვირების მართვის ადმინისტრატორი - MCSA ან MCSE, (Vmware Certified Advanced Professional) ან უფრო მაღალი, და RED HAT CERTIFIED SYSTEM ADMINISTRATOR ან უფრო მაღალი დონის შესაბამისი სერთიფიკატი.

გამოსაგზავნი მასალები

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი დოკუმენტები:

1.სერვისის აღწერილობა დეტალურად, ჯამური ღირებულება (2026 წლის 1 მაისიდან 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით) და ყოველთვიური გადასახადი **ლარში** (ინვოისის სახით);

2. კომპანიის პორტფოლიოს შესახებ ზოგადი მონაცემები, საიდანაც შესაძლებელი იქნება კომპანიის გამოცდილების გადამოწმება;

3. იმ კომპანიების დასახელებები, რომლებსაც ანალოგიური (ბეკაპირების) სერვისით ემსახურებოდა თქვენი კომპანია. გთხოვთ გამოაგზავნოთ არანაკლებ 2 სარეკომენდაციო წერილები, იმ კომპანიებიდან როლთანაც კომპანიას მიწოდებული აქვს ჩვენს მიერ მოთხოვნილი ანალოგიური სერვისის შესაბამისი მომსახურება არანაკლებ გასული 3 წლის განმავლობაში;

4. ჩვენს კომპანიაზე რეზერვირების მართვის მიმართულებით მომაგრებული სპეციალისტების სია, თანამდებობების მითითებით, მოთხოვნილი მათი სერთიფიკატების და მათივე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლებით.

შენიშვნები:

- გამარჯვებულ კომპანიასთან დაიდება ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება 1 თვიანი გამოსაცდელი ვადა. ამ პერიოდის განმავლობაში თუ კომპანია არაჯეროვანად შეასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი საჯარიმო სანქციები.

შემსყიდველის მხრიდან საკონტაქტო ინფორმაცია:

შესყიდვის პროცედურების და შესყიდვების მიმართულებით საკონტაქტო პირი:

ნიკოლოზ მინდიაშვილი,
საკონტაქტო პირის ელ-ფოსტის მისამართი: nmindiashvili@tpl.ge
მობ: 591404046

ტექნიკურ საკითხების მიმართულებით საკონტაქტო პირი:

გიორგი გიორგანაშვილი
საკონტაქტო პირის ელ-ფოსტა: ggiorganashvili@tpl.ge
მობ:595184444